

ოჯახში ძალადობა და მისი სამართლებრივი რეგულირების გზები  
საქართველოში

ბადრი მაქაცარია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის*

*სისხლის სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბესიკ მეურმიშვილი

ასოცირებული პროფესორი (სამართლის დოქტორი)



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბადრი მაქაცარია

29.06.2020

## აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი წარმოადგენს ოჯახში ძალადობის თაობაზე წარმოებულ კვლევას. იგი მეტწილად ეყრდნობა საკვლევო საგნის თაობაზე წარმოებული სხვადასხვა კვლევების შედეგებს და სასამართლო პრაქტიკას. წინამდებარე კვლევაში დეტალურად არის გაანალიზირებული ოჯახში ძალადობის კუთხით საქართველოში შექმნილი ვითარება და მისი რეგულირების სამართლებრივი მექანიზმები, განხილულია ოჯახში ძალადობის პრევენციის სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანობა და განსაზღვრულია მათი გაუმჯობესების საშუალებები. რეკომენდაციების სახით განსაზღვრულია ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის საჭირო სამართლებრივი მექანიზმები.

კვლევა შედგება სამი ნაწილისგან. პირველ თავში განხილულია ოჯახში ძალადობის არსი და მისი ფორმები. პირველი თავის მეორე ქვეთავი ეთმობა ფემიციდის კრიმინალიზაციის საკითხის მიმოხილვას, ხოლო პირველი ნაწილის მესამე ქვეთავში გაანალიზირებულია ოჯახში ძალადობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები საქართველოში.

ნაშრომის მეორე თავი ეთმობა ოჯახში ძალადობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების მიმოხილვას. გაანალიზირებულია როგორც სსკ-ის ნორმები, ასევე საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. ნაშრომის მესამე ნაწილში განხილულია ოჯახში ძალადობის პრევენციის სამართლებრივი მექანიზმების ხარვეზები და მათი აღმოფხვრის გზები.

**საკვანძო სიტყვები:** ფემიციდი, პრევენცია, ძალადობა, სტატისტიკა.

## Abstract

This present thesis is a research on the issue of the domestic violence. It is preferably based on the analysis of the results of various researches and judicial practices conducted on the subject of the research. The present research includes the analysis of the effectiveness of the legal mechanisms for the prevention of the domestic violence and outlines the measures for their improvement. The recommendations are set out to prevent domestic violence.

The research consists three parts. The first part discusses the essence of the domestic violence and its forms. The second subchapter of the first part is focused on the discussion of the need of the criminalization of femicide, while in the third subchapter includes the analysis of the statistical data on the domestic violence in Georgia.

The second chapter of the thesis is devoted to the overview of the legislation and the judicial practice on the domestic violence. The norms of the criminal code of Georgia and those of the code of the administrative offences are analyzed, as well as the regulations of the law of Georgia On the Prevention of Violence against Women and /or Domestic Violence, Protection and Assistance to Victims of Violence, Which indicates what kind of legal mechanisms are conducted to prevent the domestic violence.

The third part of the thesis is focused on the shortcomings of the legal mechanisms for the prevention of domestic violence and measures for their improvement.

**Key words:** Femicide, prevention, violence, statistics.